როგორ გავაუმჯობესოთ მზაობა უნივერსიტეტში სწავლისათვის 42-ე სკოლაში (კერძოდ, როგორ გავაუმჯობესოთ სწავლისთვის საჭირო უნარები (study skill), “ bridge” პროგრამის დახმარებით)

დარეჯან დალბაშვილი მირიან ყენია რუსუდან ხოშარაული

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის, განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების პროგრამა

თემის ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ იგი წარმოადგენს ორიგინალურ ვერსიას და მასში გამოყენებული და ციტირებული სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებული მასალა დაცულია სათანადო წესების შესაბამისად.

დარეჯან დალბაშვილი

მირიან ყენია

რუსუდან ხოშარაული

6.07.2015 წელი

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკული კვლევის ანგარიშს, რომელიც აკადემიკოს ი.ვეკუას სახელობის ქალაქ თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლაში განხორციელდა ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეთა მზაობის გაზრდა უნივერსიტეტში სწავლისათვის. ამ მიზნის მისაღწევად კვლევის ფარგლებში დაიგეგმა ინტერვენციები ორი ძირითადი მიმართულებით: (1) სკოლასა და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის გაძლიერება მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად; და (2) მასწავლებელთა შესაძლებლობების გაზრდა მოსწავლეებში სწავლისათვის მნიშვნელოვანი უნარების (stady skills) განვითარებისთვის.

ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ჩატრებული კვლევების მიმოხილვა, პრაქტიკული კვლევის მეთოდოლოგია, აღწერილია კვლევის ეტაპები: პრობლემის იდენტიფიცირება, პრობლემის გამომწვევი მიზეზები, ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება.

პრობლემისა და განხორციელებული ინტერვენციის ანალიზმა მოგვცა შესაძებლობა, სკოლისთვის შეგვემუშავებინა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც ჩვენი აზრით, გაუადვილებთ მათ სამუშაო პროცესს და ხელს შეუწყობს სკოლასა და უნივერსიტეტს ერთმანეთთან კომუნიკაციის დაამყარებაში მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად.

საძიებო სიტყვები: პრაქტიკული კვლევა, სასწავლო უნარები, Bridge პროგრამა

მადლობა

კვლევაში მონაწილეობისთვის მადლობას ვუხდით 42 საჯარო სკოლის ადმინისტრაციას, პედაგოგებს, მოსწავლეებს, კურსდამთავრებულებს და წიგნიერების ბილინგვური განათლებისა და ქართული ენისს წავლების ტრენერს, ბატონ გიორგი ჭაუჭიძეს - რომელმაც კვლევის ფარგლებში 42 საჯარო სკოლის პედაგოგებს ტრენინგი ჩაუტარა.